ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 84

(გამარტივებული შესყიდვა cpv 45312311.)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2012 წლის " 17 " მაისი ქ. ფოთში

ერთის მხრივ,
ს.ს.ი.პ„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური" ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი". ბ/კ BAGAGE22; ა/ა GE42BG0000000118341800.
ბანკი „რესპუბლიკა" ბ/კ REPLGE22. ა/ა GE79BR0000010642770612.
ს.ს. „ ვითიბი ბანკი ჯორჯია" ბ/კ UGEBGE22. ა/ა GE74VT5500000003643408
სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE51TB7148436080100001
დირექტორი: რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
შ.პ.ს. " ფოთი ლიფტი " ს/კ 215149783;
დირექტორი: მერაბ როყვა
მისამართი: ქ. ფოთი ნიკოლაძის ქ № 35.
ტელ: 599543307
ელექტრონული მისამართი : elenegabliani@mail.ru
საბანკო რეკვიზიტი:

ბანკის დასახელება: ს.ს. „ ვითიბი ბანკი ჯორჯია"

ბანკის კოდი:ბ/კ UGEBGE22. ა/ა GE93VT0600000001513603

(შემდგომში "მიმწოდებელი") შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება „მეხამრიდის დაყენების" შესყიდვაზე.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველისათვის" „მეხამრიდის დაყენების" მიწოდებას.
2.2 ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ბათუმში შ.პ.ს. "ნავთობ ტერმინალზე" წინა სახაზე ნიშანზე მეხდამცავი სისტემების მოწყობა.

№	სამუშაოთა დასახელება	ერთეულის განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4
1.	ლითონის ღეროვანი მეხამრიდების დამზადება H=8მ	ცალი	1
2	მეხამრიდის სადგარის დამზადება	ცალი	1
3	სპილენძის კაბელი 25 მმ ^{2}	გრძ.მ	25
4	დამიწების კონტურის მოწყობა	ცალი	1

2.3 მომსახურების მოწოდება უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმში შ.პ.ს. "ნავთობ ტერმინალზე" წინა სახაზე ნიშანზე .

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3700.00 (სამიათას შვიდასი) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

4.1 შესყიდული **მომსახურების მიწოდება,** უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრულად არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში **2012 წლის 22 მაისის** ჩათვლით.

4.2 შესყიდული მომსახურების საგარანტიო ვადა შეადგენს მისი ექსპლუატაციაში შესვლიდან 2 (ორ) წელს.

4.3 საგარანტიო პერიოდში „მეხამრიდი" თუ დაზიანდა ან აღმოჩნდა რომ ის არის ექსპლუატაციისათვის უვარგისი მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 30 დღეში შეაკეთოს ან შეცვალოს ის ახლით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. შესყიდული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფასების ცხრილში მითითებული ფასების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

8 მხარეების პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 % (ორ) პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი" -ს მხრიდან საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის აჭარის მონაკვეთის ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი მურად ჯაიანი
9.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობებისა და მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი"–სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამისილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუზველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

11.2. „ფორს-მაჟორის" ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

11.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

11.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

11.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

12.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. შეტყობინება

14.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო (ასევე ელექტრონული ფოსტის)გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
14.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან **და მოქმედებს 20 ივნისის** ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

16.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან:

შ.პ.ს. " ფოთი ლიფტი" -ს დირექტორი: მერაბ როყვა